572
1963



ლილა

№ 3 საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტების ლ. ი. ლენინის სახელობის წლის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი მარტი 1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ფოცხიშვილი

მილოცვა

ჭაწაწინა თენგიზმა
დიდი, დია ბარათით
ადრე დილით დედიკოს
მიულოცა რვა მარტი!

ნახატი-ხუმრობა
ე. ამბოკაძისა

572
1963

ბესკვლული

ქ. ჭილაშვილი — ნახატები ზ. ფორჩხიძისა

— დილა მშვიდობისა, ძია ნიკო! საით მიიჩქარით ასე ადრიანად? — წამოეწია გზაზე ოთარი შუახნის კაცს, რომელსაც ბარი მხარზე გადაედო და ნება-ნება ადიოდა აღმართზე.

— დასაბარად, ვაჟკაცო!

— რა დროს დაბარვაა, ძია ნიკო, ამ სიცივეში? — შეაჟრიალა ოთარს.

— სწორედ რომ დროა, როგორი გლეხკაცის შვილი ხარ, ეს არ იცი! ახლა უნდა დაიბაროს, რომ მიწას ნესტმა ჩაუაროს, თორემ გაპოხილში თესლი როგორ გაიხარებს.

— ჩვენ აინუნშიც არ მოგვსვლია სკოლის ნაკვეთში ასვლა! — შეფიქრიანდა ოთარი.

— რაღას უყურებთ, თუ აქედანვე არ იბეჯითეთ, ცოდნა და კაიკაცობა ციდან კი არა ვარდება! — დაარიგა ნიკომ და კოლმეურნეობის საბოსტნე ნაკვეთისაკენ გადაუხვია.

გაკვეთილების მერე ოთარმა რგოლის პიონერ ბიჭებს გამოუცხადა:

— წადით, ბარებით შეიარაღდით და ერთ საათში ნაკვეთში გაჩნდით!

— გოგოებს რატომ არაფერს ეუბნები, მარტო ბიჭები დაგვიბრიყვე? — ხუმრობით იკითხა პავლემ.

— გოგოები დათესავენ! — არ დააცადა პასუხი ოთარს აჩიკომ.

ბიჭები სახლებისაკენ წავიდ-წამოვიდნენ.

მალე ოთარის პიონერული რგოლი ნაკვეთს შეესია. მათი მხიარული ყიჟინა ელიკოს თავის ეზოში მოესმა, რომელიც იქვე შორიახლოს ცხოვრობდა.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — ესიამოვნა ელიკოს, — როგორ არაფერი გვითხრეს გოგოებს. ავდგები და კარტოფილს მოვუხარშავ, ნამუშევარზე ეამებათ ცხელი საჭმელი! — მოიფიქრა ელიკომ და ფაცაფუცი დაიწყო.

ის იყო, ელიკომ ქვაბი გადმოდგა, რომ სოფიკოც ეწვია.

— რა დროზე მოხვედი, სოფიკო, ჩემი და უნდა გამომეგზავნა დასაძახებლად. ჩვენი ბიჭები რგოლის ნაკვეთს ბარავენ, საუზმედ კარტოფილი მოვუ-

9054
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარშე და ერთად ავუტანოთ!—სხაპასხუპით დააყარა გოგონამ.

საჩქაროდ გაფცქვნეს კარტოფილი. ელიკომ თონის სამი პურიც გამოახვია, პატარა ყველის ნატეხიც და კარტოფილიან ქვაბთან ერთად ჩანთაში ჩადო.

ბიჭებს თავს ძია ნიკო წამოადგათ.

— ბარის ხმარებასაც ცოდნა უნდა, თქვენ ეგრე კი ნუ უყურებთ ამ საქმეს!— ამბობდა ის. და ბარის მოხდენილი დარტყმით ბელტს ბელტზე აწვენდა.

— ახლა შეისვენეთ და ცოტა ისაუზმეთ! ცივ კარტოფილს რაღა გემო ექნება?—იპატიჟებდნენ გოგოები სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე.

ძია ნიკო სამუშაოზე გაბრუნდა.

ბიჭებმა ხელების გადასაბანად სახელოები დაიკაპიწეს და რიყეში მოწანწკარე რუს ჭყაპაჭყუპი აუყენეს.

—თურმე მომშივნია!—პირველი მიუჯდა არჩილი სუფრას და ვეება კარტოფილს დასწვდა.

— ერთი, მარილი მომაწოდე!—ხელი გაუწოდა არჩილმა ელიკოს.

— მარილი აყრია, თან აღარ წამოგვიღია! მოიბოდიშეს გოგოებმა.

— აყრია და ეგრე?!—სახე დაემანჭა პავლეს კარტოფილის ჩაკბეჩაზე.

— ელიკო, შენც დააყარე მარილი?— ჰკითხა სოფიკომ ამხანაგს.

— შენც დააყარე?!—შეწუხდა ელიკო.

— გეტყობათ გამოცდილი მზარეულობა! – ჩაიფხუკუნა ლადომ და კარტოფილს სული შეუბერა მარილის მოსაცილებლად.

— ყველი და პური, კეთილი გულიო! ეგ არაფერი... —ღიმილით შეხედა ოთარმა გოგოებს და ლადოს ანიშნა, არ აწყენინოო.

გოგონებმა შეიფერეს ამხანაგების ხუმრობა და ყუაყუა დატეხილ პურს სთავაზობდნენ ხან ერთს და ხან მეორეს.

პიონერებს მავთულის ღობეზე მიეყუდებინათ ბარები, რომლებიც პატრონების მოლოდინში თითქოს ისვენებდნენ.

ჰაერი მიწისა და ბალახის სუნით გაჟღენთილიყო.

სოფელს გაზაფხული სწვეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ. ქობერიძე

სამი მეხანძრე

იეო სამი მეხანძრე:
რეზო, გიგი, ლალი;
ჰქონდათ კიბე, მანქანა,
უხვად ჰქონდათ წყალი.

ასფალტიან ეზოებს
ხდარაჯობდნენ მუდამ:
— საშიშია ხანძარი
და სიფხიზლე უნდა!—

არსად ჩანდა ხანძარი,
უხვად ჰქონდათ წყალი...
იეო სამი მეხანძრე,—
რეზო, გიგი, ლალი.



ნახატი ჯ. ლოლუასი



გერამ ბედოშვილი

ნახატები თ. სამსონაძისა

ზღაპარი

ცხრა ზღვასა და ცხრა მთას აქეთ, ერთ ქალაქში სამი მეგობარი ცხოვრობდა: რამაზი, თამაზი და მალხაზი. ერთ დღეს მეგობრებმა გადაწყვიტეს საჰაერო ხომალდი გაეკეთებინათ. შეუდგნენ მუშაობას. იშრომეს და იშრომეს ბიჭებმა. სამი წლის განმავლობაში სამ დღეს არ დაუსვენიათ და მალე საჰაერო ხომალდიც გასაფრენად მზად იყო.

ხომალდი და მერე რა ხომალდი! ფოლადის ქიმი ისარივით ჰქონდა წაგრძელებული და, რაღა თქმა უნდა, ჰაერს ისე ადვილად გააპობდა, როგორც ნაჯახი სანთელს.

ერთ დილას მეგობრები ქალაქგარეთ გავიდნენ, საიდანაც მათი საჰაერო ხომალდი უნდა აფრენილიყო. ბიჭებმა საფრენი კოსტუმები ტანზე კარგად მოირგეს, მსუბუქი და გამძლე მუზარადები დაიხურეს და ხომალდში ადგილები დაიკავეს.

უცებ გაისმა საშინელი გრუხუნი, ამუშავდა მძლავრზე უმძლავრესი ძრავა და ხომალდიც მიწას მოსწყდა. მალხაზმა ძირს გადმოიხედა. აფრენის ადგილას ხომალდს ისეთი მტვერი დაეყენებინა, რომ ცხრაჯერ ცხრა ქალაქს თავით-ბოლომდე დაფარავდა.

ხომალდი სულ ზევით და ზევით მიიწევდა; მიაპობდა ღრუბლებს და რადგან გასროლილი ტყვიაზე სამჯერ უფრო სწრაფად მიჰქროდა, დედამიწაც მალე გაუჩინარდა. ბიჭები ახლა კაბინიდან მხოლოდ მოყვითალო მზესა და იასამნისფერ ზეცას ხედავდნენ.

საჰაერო ხომალდი კი მიჰქროდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცებ დაბნელდა. ცაზე ვარსკვლავები გამოჩნდნენ, უზარმაზარი მთვარე კი თითქოს ხომალდისაკენ მოგორავდა.

კაბინაში წითელი შუქი აენთო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ფრენა უკვე საშიში იყო.

და უცებ მოხდა ასეთი რამ!

თუ მიხვდით, რა მოხდა?

მოხდა ის, რომ ბიჭებმა ხომალდში ფრენა დაიწყეს. ყველაფერი ისე გამჩატდა, რომ თქვენს შორის ყველაზე პატარაც კი სამ ტონა ტვირთს სამი თითით მაღლა ააფრენდა.

თამაზი სავარძლიდან ჯერ თავდაყირა გადაეშვა, მაგრამ ძირს კი არ დავარდნილა, ტრიალ-ტრიალით აფრინდა და ხომალდის ჭერს მიეკრა. მერე ისევ ქვევით დაეშვა. ეშვებოდა მძიმედ, ჭანაობით და გრძნობდა რომ სუნთქვა ეკვროდა. მალხაზი უნდა გენახათ მაშინ: დაფრინავდა ფეხებგაჩაჩხული, გაოცებული, პირღაღებული და ხმას ვერ იღებდა; ხომალდში თავისუფლად დაფრინავდნენ რვეულები, ფანქრები, თუნუქის სახურავიანი ქილები. ბიჭები პირველად, ცოტა არ იყოს, შეშინდნენ კიდეც, მაგრამ ამ უცნაურ უწონადობას მალე მიეჩვევნენ და მერე სიცილსაც კი ვეღარ იკავებდნენ.

ის იყო მალხაზმა მეგობრებს დედამიწისაკენ დაშვება ურჩია, რომ ეკრანზე ყვითელი შუქი აენთო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ხომალდი საშიშ ზონაში მოხვდა.

ყვითელი შუქი ტყუილუბრალოდ მართლაც არ ანთებულა: მალე კაშკაშა სხივმა მთელი ცა გაანათა და ხომალდისაკენ ცეცხლოვანი მეტეორი გამოქანდა. მას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე... მოჰქროდნენ ცეცხლის ალში გახვეული მეტეორები და ეჭვი არ იყო, რომელიმე მათგანი საჰაერო ხომალდს დაეჯახებოდა.

ბიჭებმა კარგად იცოდნენ, რომ ხომალდი მეტეორების თუნდაც ცხრაჯერ ცხრა დარტყმას გაუძლებდა, მაგრამ ცეცხლი? ცეცხლი საწვავს ააფეთქებდა და ხომალდიც, რაღა თქმა უნდა, დაიღუპებოდა.

თამაზმა და მალხაზმა ფრენა-ფრენით სავარძლებამდის ძლივს მიაღწიეს, ჩასხდნენ და წელზე სამაგრები შემოიკრეს.

— მოემზადეთ! ვიწყებთ საჰაერო იერიშს! — დაიძახა ხომალდის კაპიტანმა რამაზმა.

— მზად ვართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩართეთ შვიდივე ჭავლმტყორცნი!

და აი, სწორედ მაშინ მოხდა, რაც მოხდა!

ხომალდის შვიდივე ჭავლმტყორცნი ამოქმედდა და წყლის ისეთი მძლავრი ნაკადი გაქანდა მეტეორებისაკენ, რომ მარტო სეირის ყურება ღირდა რამედ! როცა გავარვარებულ მეტეორებს წყლის შვიდი ჭავლი მთელი ძალით ეკვეთა, მეტეორები მაშინვე ორთქლში გაეხვივნენ, აშიშინდნენ და ნაწილ-ნაწილ დაშლილები უსასრულო სივრცეში მიმოიფანტნენ.

ყველაფერი მიწყნარდა. ხომალდიც უკვე წყნარად მიიკვლევდა გზას.

გამოჩნდა მთვარე. ისეთი დიდი ჩანდა აქედან მთვარე, ისეთი დიდი, რომ ბიჭებმა პირველად თვალებსაც კი არ დაუჯერეს. აბა, აქამდის ვის ენახა ასე ახლოს მთვარე!

ხომალდმა მთვარეს სულ ახლოს ჩაუქროლა. გარკვევით მოჩანდა მის ზედაპირზე წვეტიანი კლდის ქიმები, ხახადაღებული უფსკრულები, ხევები. და ის იყო ბიჭებმა მთვარეზე დაფრენა მოისურვეს, რომ სწორედ ამ დროს ეკრანზე ლურჯი შუქი აენთო.

— მთვარეზე ახლა ვერ დავეშვებით, საწვავი არ გვეყოფა!— თქვა კაპიტანმა. მაშინ ბიჭებმა გადაწყვიტეს ხომალდი დაემუხრუჭებინათ და დედამიწაზე დაბრუნებულიყვნენ.

ხომალდმა სიჩქარეს უკლო და ქვევით იწყო დაშვება. ილუმინატორებიდან უკვე გარკვევით მოჩანდა დედამიწა, მოჩანდა ტბები, დიდი მდინარეები, ქალაქები, თოვლით დაფარული მწვერვალები.

საჰაერო ხომალდი მშვიდად უახლოვდება დედამიწას; სულ მალე რამაზის, თამაზის და მალხაზის ხომალდი იმ სკოლის მახლობლად დაეშვება, სადაც ყველაზე მეტი ბეჯითი, გაბედული და მამაცი პიონერი სწავლობს!



ძილისგული

ლ. ერაძე

ეო, მეო,
ზარმაცია ღეო,
ძიღი უყვარს
ძიღისგუდას—
ღამეა თუ დღეო.

გატირება იცის

უჰ, რა დიდი გოგოა და
არ სცილდება წუთით დედას,
უკან დასდევს, არსად უშვებს.
შინ დარჩენას ვერა ბედავს.

მისი ტოლი გოგოები
ამშვიდებენ ხოლმე ღიას:
მოდი, ჩვენთან ითამაშე,
გატირება სირცხვილია!

ნახატები ბ. როინიშვილისა

შორს, ძალიან შორს ჩვენგან არის ერთი ლამაზი კუნძული, რომელსაც **კუბა** ჰქვია. ადრე ამ კუნძულის შესახებ ბევრმა არა იცოდა რა. ახლა კი ყველა მასზე ლაპარაკობს. რატომ? იმიტომ რომ **კუბაში** ცხოვრობს ამაყი ხალხი, რომელმაც ბრძოლით მოიპოვა თავისუფლება და გმირულად იცავს მას.

გინდა ჩვენთან ერთად გაემგზავრო სტუმრად კუბელ მეგობრებთან? თუმცა ჩვენი მოგზაურობა ახლა არ არის ნამდვილი. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ოდესმე მართლაც ეწვიოთ ამ ლამაზ კუნძულს!

თამაშის წესი:

თამაშში მონაწილეობს 2, 3, 4, 5, და თუგინდ 6 ბავშვი. ამისათვის უნდა მოიმზადოთ ფერადი ღილები—

რამდენი მონაწილეცა ხართ, იმდენი. ქალალდიდან გამოჭერით პატარა-პატარა კვადრატები,—ესენი ვითომ საჩუქრებია! და გაკეთეთ ბზრიალა. აი, ასეთი, როგორიც აქ ხატია.

ახლა დაითითოვეთ ღილები, რიგრიგობით დაატრიალეთ ბზრიალა, და რა რიცხვზედაც დადგება, იმდენი დანაყოფით გადასწიეთ წინ თქვენი ღილი.

მოძრაობას იწყებთ პირველი დანაყოფიდან.

გზაში, სხვადასხვა ქვეყნის გავლისას, შეხვდებით გოგონებსა და ბიჭებს, რომლებიც აუცილებლად გაგატანენ საჩუქრებს კუბელ მეგობრებთან.

ვთქვათ, შენი ღილი შეჩერდა 9 რიცხვზე, რომელსაც გოგო და ბიჭი ახატია. ამ შემთხვევაში წაიღებ ორ საჩუქარს. ან მაგალითად, შეჩერდი 27-ზე, სადაც ერთი გოგონა და ორი ბიჭია.ახლა უკვე სამი საჩუქრის წაღება მოგიწევს.

თუ შეჩერდით 35-ზე, თვითმფრინავი გზას შეგიმოკლებთ და უცბად 65-ზე აღმოჩნდებით. 57-დან კი—72-ზე. ხოლო თუ 60-ზე შეჩერდით, მოგიწევთ უკან დაბრუნება 48-ზე. 50-დან კი—5-ზე.

მეორეთაც რომ შეჩერდეთ ბავშვებიან დანაყოფზე, ისევ იმდენ საჩუქარს მიიმატებთ, რამდენსაც პირველად.

როდესაც ყველა მოგროვდებით კუნძულზე, დათვალეთ საჩუქრები, და ვინაც მეტი აღმოაჩნდება, მოგებულიც ისაა.

მაშ, კეთილი მგზავრობა, ბავშვებო!

ჟურნალ „ვეებოოლეე კარტინკიდან“

ნახატი ბ. ფრიდლენდისა

ჩიტბატონე

ნახატები შ. ცხადაძისა

ჯ. ნიქაბაძე

ულრან ტყეში იმ დილით
ხმა გავარდა ანაზდად.
გვრიტმა ფრთა ფრთას შემოჰკრა.
მეტისმეტად გაბრაზდა:
— საოცარი რამ არი,
მართლაც გასაკვირველი,
ჩვენს მხარეში გამოჩნდა
უცნაური ფრინველი.
თითისტოლა არც კია
მგალობელი პაწია.
— ჩუმად! — გაწყრა სტუმარი, —
რატომ ყვირით ხმამაღლა,
გირჩევნიათ ხადგომი
მომიმზადოთ ამალამ!.. —
ფრინველებმა ერთმანეთს
გადახედეს დაცინვით:
— ეს ვინ არის, რომ ბრძანებს
ჩვენში ბატონ-კაცივით? —
— შეხეთ, რა თავხედია!
— დამიხედეთ მკვეხარას!
— ალბათ მიხი ჰგონია
ამ ვაუბატონს ქვეყანა!
— შეხეთ, შეხეთ! – წიწკანას
გული ბრაზით აევსო, —
თითქოს არის ბატონი
ისე მაგრად ბრძანებსო. —
აიფოფრა ჩიტუნა:
— ეს სიტყვები ვინ ჰკადრა?! —
და საბრალო წიწკანას
თავში ჩაუნისკარტა.
წამით შეცბნენ ფრთოსნები:
— შეხეთ, ეს რა გაბედა!
— უმადური ყოფილა,
გავაძევოთ აქედან! —
ჩხიკვი, შაშვი, მზეწვია,
მოლალური, კოდალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაეხვევნენ საცოდავს,
არ დაინდეს ოდნავად.
იქვე განმარტოებით
იდგა მხოლოდ ბულბული,—
ქარს მიჰქონდა ჩიტუნას
თოვლისფერი ბუმბული.

* * *

ჩიტუნიამ პაწიამ
ისევ ტუისკენ გასწია.
წამით შედგა წყაროსთან,
შიშით თვალი მილულა.
უცებ წვიმამ დაუშვა
ციდან კოკისპირულად.
ამ დროს შეხვდა გუგული,
„კაფე-თესეს“ გუგუნით.
— ჰე, გუგულო, გუგულო,
ნუ იქნები უგულო,
სიცივისგან ვკანკალებ,
რაც გადამხდა მაკმარე,
თუ ხარ კარგი გუგული,
მომე ერთი ბუმბული!
—რა ვქნა, გულკეთილი ვარ,
მიყვარს ყველა სულდგმული.
ჰა, წაიღე!—გუგულმა
მიაწოდა ბუმბული.
ჩიტუნიამ პაწიამ
კვლავ თავის გზით გასწია.
ჭიკჭიკით და ყლურტულით,
წინ შემოხვდა ბულბული.

— ეჰ, ბულბულო, ბულბულო,
მხოლოდ შენით ვსულდგმულობ.
სიცივისგან ვკანკალებ,
რაც გადამხდა მაკმარე.
თუ ხარ კარგი ბულბული,
მომე ერთი ბუმბული.
— რა ვქნა, გულკეთილი ვარ,
მიყვარს ყველა სულდგმული,
ჰა, წაიღე!—ბულბულმაც
მიაწოდა ბუმბული.
ჩიტუნიამ პაწიამ
კვლავ თავის გზით გასწია.
ასე დიდხანს იარა,
ცხრა მთა გადაიარა;
ნახა შაშვი, კაკაბი,
მოლალური, მზეწვია,
წიწკანა და ბეღურა,
ფარშავანგსაც ეწვია,—
სიყვარულით მიიღეს
დარცხვენილი სტუმარი.
ყველამ მისცა ბუმბული,
არვინ უთხრა უარი.
შეიმოსა საბრალო,
გული ლხენით აევსო;
— ასე კარგს და ხატულას
ვინ არ შემიყვარებსო.—
გაჰკრა, ფრთები გაშალა,
გადაევლო გზა-შარას.
და იმ დღიდან მკვეხარას,
„უწუინარს და უცოდველს“
ფრინველებმა დაცინვით
ჩიტბატონა უწოდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ფეხსაცმელი

ბრონეს იაუნიშკისი ნახატები რ. ფეფეკრიძისა

გინტუკასი თავის მამასთან ერთად ვილნიუსში ჩავიდა. შეკიდნენ ფეხსაცმელების მაღაზიაში. მამამ გამყიდველს უთხრა:

— აი, ჩემი ბიჭი. ამ ბიჭს ახალი ფეხსაცმელი სჭირდება.

— მაგ ცუგრუმელა ბიჭს?.. კი, გეთაყვა, აირჩიეთ, რომელიც გენებოთ!

გამყიდველმა მრავალნაირი ფეხსაცმელი გადმოუდო: ჭვინტიანი, დაჩხვლეტილი, ღილებზე შესაბნევიც. მაგრამ გინტუკასს არც ერთი არ მოეწონა.

— ზონრით შესაკრავი მინდა,—ჩაილაპარაკა გინტუკასმა.—სწორედ ისეთი, ჩვენს ზოსიტას რომ აქვს...

გამყიდველმა ზონრით შესაკრავი ფეხსაცმელიც მაშინვე მიუტანა. გინტუკასმა დაინახა თუ არა, მხიარულად შემოჯკრა ტაში. მამამ უყიდა.

შინ მივიდნენ თუ არა, გინტუკასმა ახალი ფეხსაცმელი ჩაიცვა და ოთახში ფრთხილად დაიწყო სიარული. მერე რა საამურად ჭრაჭუნობდნენ!

— დედიკო, ეზოში სირბილი მინდა,—შეეხვეწა გინტუკასი.

— ჩადი, შვილო,—უთხრა დედამ.— მხოლოდ გუბეში არ ჩავარდე. ფეხსაცმელს გაუფრთხილდი, ეოვილოვის სუფთად უნდა გქონდეს. ზონრის შეკვრაც არ დაგავიწყდეს.

— ამ ფეხსაცმელს არასოდეს არ დავსვრი, დედა,—შეჰპირდა გინტუკასი და ბედნიერი ბიჭუნა ეზოში გავარდა.

სულ ცოტა ხნის წინ წვიმამ გადაიარა. ქთის ძირას ნაკადულები ქღურტულებდნენ. აქა-იქ გუბეებიც დამდგარიეო.

გინტუკასი როგორც კი გუბეს შეამჩნევდა, მაშინვე ფეხს აარიდებდა, ზორს მოუვლიდა. ამჯერად გვერდი აუარა თხრილსაც, სადაც ბავშვები მხიარული ეიკინით ქაღალდის ხომალდებს უშვებდნენ.

გუბურასთან თვალებგადმოკარკლული ბაეული შროშანას ფოთოლზე წამოსკუპებულიეო.

გინტუკასმა წვრილი ტოტი იპოვა და ბაეაეის შესაშინებლად გუბურასაკენ გაემართა. მაგრამ არა, დედის სიტყვები გაახსენდა. ტოტი სელიდან გააგდო და ბაღისაკენ გაიქცა. მზე იქაც აცხუნებდა, ჰეპლები მხიარულად დაფრინავდნენ. გინტუკასს ერთი ჯრელი ჰეპელა ძალიან მოეწონა, გამოეკიდა.

ჰეპელა ჰაერში დანავარდობდა, გინტუკასი კი დასდევდა, ეძახდა, დაჯრას ლამობდა.

ამ ფაცაფუცში, თურმე ფეხსაცმლის ზონარი გაეხსნა. მიაფრატუნებს და ვერ ხვდება. ისმის: „ტეაპ-ტეუპ, ტეაპ-ტეუპ!“ ბიჭი ერთ წუთს შეჩერდა, ფეხზე დაიხედა. უცბად ზონარმა შესძახა:

— გინტუკას, შემკვანძე!

— არა მცალია,—უპასუხა გინტუკასმა და ისევ გაეკიდა ჯრელ ჰეპელას.

ზონარი კი არ უსვენებს:

— გინტუკას, შემკვანძე. არ შემკვანძავ და, ინანებ!

რას ინანებს, ის ხომ გუბეში არ ჩამდგარა, თხრილებსაც ფეხი აუქცია. ზონარი ალბათ ეხუმრება. და გინტუკასი ჰეპელას ისევ მისდევს. მეორე ზონარიც გაეხსნა. ორივე ფეხსაცმელი ეხდება, ორივე ფეხს მიატუაპუნებს: „ტეაპ-ტეუპ, ტეაპ-ტეუპ!“

— გინტუკას, შემკვანძე!—წამოიყვირა მეორე ზონარმაც.—არ შემკვანძავ და ინანებ!

— რას ჩამაცივდით, თქვენთვის არა მცალია! ჰეპელა გამიფრინდება! —უგუნებოდ შესძახა ბიჭმა.

და გინტუკასი მხიარული ნავარდით გაეკიდა ჰეპელას. ზონარი კი ფეხებში წაებორკა, გინტუკასი წატორტმანდა და შიგ გუბეში ჩავარდა. ქუდი გადაუგორდა, ქურთუკი ამოესვარა, ფეხსაცმელი კი ჭუაპში ისე ამოეთხუპნა, რომ ვეღარ იცნობდით რა ფერისა იეო.

ესეც შენი ახალი ფეხსაცმელი!

თარგმანი თ. ღვინიაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინილეკი

ს. ქიზიასშვილი

პიესა 1 სურათად

გამოდის ზურიკო ეზოში ჯამით ხელში და წიწილებს ეძახის:

ზურიკო — ჯუ-ჯუ-ჯუ-ჯუ, გულყვითელა.
ჯუ-ჯუ-ჯუ-ჯუ, თეთრა.
აბა, აქეთ, აბა, ჩქარა,
ყველა ჩემთან, ჩემთან! (წიწილები არ ჩანან) ჯუ-ჯუ-ჯუ, წიწილებო,
სად წახვედით ნეტავ,
იცოდეთ, თუ მემალებით,
მაწყენინებთ მეტად!
ალბათ ისევ მინდვრისაკენ
გზას გაუდგნენ მარტო,
უჰ, როგორ არ მიჯერებენ,
რა ვქნა... რატომ, რატომ?!
აი, მგონი ბრუნდებიან,
ბრუნდებიან • უკვე.
არა, მე მათ ხმას არ გავცემ,
ყველას გავებუტე!

წიწილები—წია, წია, გვშია, გვშია,
დაგვიყარე რამე, ზური?!

1 წიწილა—ცოტა ქერი,

2 წიწილა—ცოტა პური,

3 წიწილა—სუფთა ჯამით წვნიანი,
ბიჭი ხარ საქმიანი.

ზურიკო — გამაბრაზეთ ძალიან,
ახლა აღარ მცალია!

წიწილები—ვაი, ვაი, რატომ, რატომ?

ზურიკო — რად დამტოვეთ მარტოდმარტო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა გინდათ, წყალი, ქატო?
ალარ მოგეფერებით,
გავაჩერე ხელები.

წიწილები— ვაი, გვშია, გვწყურია...
ნუ ბრაზდები ზურია!

1 წიწილა—ჯერ ყივილიც არ ვიცი,
გული რატომ გეტკინა,
რა კაშკაშა დღე გათენდა,
შენ კი ისევ გეძინა.

2 წიწილა—გამოვედით ბილიკზე,
გვახარებდა დილის მზე.

ზურიკო — დადიხართ და დასწივით,
არ გაშინებთ არწივი.
არც ქორი, არც მელია...

წიწილები—მინდვრად მშვენიერია...
ჭრიჭინები მღერიან.

ზურიკო — ქორი თუ გამოჩნდება?

წიწილები—ბუჩქებს შევეფარებით.

ზურიკო — წყალი თუ მოგწყურდებათ?

წიწილები—შენსკენ მოვეჩქარებით.

1 წიწილა—ნუ, ნუ გაგვებუტები.

2 წიწილა—ჩვენ არა ვართ ცუდები.

3 წიწილა—მალე უნდა ვისწავლოთ
ყვინჩილებმა ყივილი,
გაგაღვიძებთ ადრიან,
მზეს შეხედავ ღიმილით.

სად არიან მგზავრები?!



ნახატები **ზ. ფორჩხიძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიწილები—წია, წია, ზურია!
1 წიწილა—ახლა გვშია, გვაჭამე,
2 წიწილა—ახლა წყალი გვწყურია.
ზურიკო — გულყვითელებს, ნაცარებს,
როგორ არ დაგაპურებთ,
აჰა, აი, ხორბალი,
აი, ქერიც, უყურეთ!
1 წიწილა—ვაშა, ვაშა, ზურია,
როგორ გშვენის ღიმილი,
2 წიწილა—გაგაღვიძებთ დილაზე,
აი, ასე, ყივილით.
წიწილები—ყი-ყლი-ყოო!..
ზურიკო — მარტო ქერი არ კმარა!
აი, წყალი ანკარა!
წიწილები—ვაშა, ვაშა, ზურია
თუ გვშია და გვწყურია
ფეტვს დაგვიყრის ახალსა,
ხორბალს, მზეზე გამხმარსა.
ქატოს ჯამში არეულს,
ვაშა, ასეთ მზარეულს.
საქმიანი ბიჭია,
ყოჩაღი და დინჯია!

ფ ა რ დ ა





აბა, მეორე მხრიდან გახედეთ ამ ფურცელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთერთი

— რატომ ტირი, მარიკო?

— ჩემს დასაც და ჩემს ძმასაც არდადეგები ეძნებათ, მე კი—არა.

— შენ რატომ არ გეძნება არდადეგები? განა ცუდად სწავლობ? მასწავლებელს ყურადღებით არ უსმენ?

— არა, არა! მე შვიდი წლისაც არა ვარ და ჯერ სკოლაში არ დავდივარ!

ფრანგულიდან თარგმნა **ი. ჩხიკვაძემ**

ოთ. შალამბერიძე

ცუგო ავად გახდა,
გარეთ აღარ გაგვყავს.

მოვუტანე კაღათა,
ჩავუფინე თივა;
სიცივეა, მაგრამ
ცუგოს აღარ სცივა.

— რძე მიირთვი ცუგო,
აი, ცოტა ყველიც.
არ იყეფო, ცუგო,
გეტკინება ყელი.—

გამგონეა მართლაც
ცუგრუმელა ცუგო,
მოვაშორე ფისოც,
რომ არ შეაწუხოს.

გამოკეთდა ცუგო,
გაუბრწყინდა თვალი,
ცქვიტი გახდა უფრო,
გახდა უფრო ჩქარი.

მე მჯერიდა ადრეც,
ასე მჯერა ახლაც,—
უკეთესი წამალი
მოფერება გახლავთ!

გრიგოლ არსენია

გაიზარდა ჩემი ფისო,
თათს ისვეღებს, ცხვირ-პირს იბანს,
თაგუნების დასაჭერად
უკვე ძალაც მოიკრიბა.

ჰა, წრუწუნაც გამობრძანდა,
მოცუნცულდებს მაღვით ტახტთან,
უცებ ჩემი ხატაურა
თაგუნიას ზედ დაახტა.

თაგვმა დიდხანს იწრიპინა,
აცეცებდა შიშით თვალებს,
ბევრს ეცადა, მაგრამ მაინც
ვერ გაექცა ფისოს ბრჭყალებს.

ნახატები **ზ. ფორჩხიძისა**

6123/131

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი ქალაქი“ — ნახატი
ვალ. ჩახაპვასი 10 წლის
(თბილისი)



9 წლის **თამარ ჩილინგარაშვილის** (თბილისი) ნამუშევრები:
ძმების გოგი-ბიჭი
და
დედოფლები (ფერადი ქაღალდი)

ინდექსი 76055

რედაქციის მისამართი: თბილისი, პუშკინის პრ. № 91, ტელ. 5-37-38.

ყდაზე: გაზაფხული“—ნახ. **ვ. ქოქიაშვილისა** მაკეტი **ჯ. ლოლეანი**

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), ტექ. რედაქტორი გ. როინიშვილი

ფასი 20 კაპ.

გამოცემის ოცდამეთექვსმეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამომცემლობა „ნიკაბლული“, გამომც. შეკვ. № 728, სტამბის შეკვ. № 309 ტირაჟი 40000 ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/II 1963 წ.

ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში ბროსეს ქ. № 2.

Д И Л А—на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91.